საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/783
09/02/2023

783-21-2-202302091214

შპს „კაიროს“
მის: ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის N62
ელ.ფოსტა: Belabela5@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის № 7805 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრ. ლორთქიფანიძის N62-ში არსებული ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ტექნოლოგიური დანადგარები (კირქვის საშრობი სისტემა), შესაბამისად სკრინინგის განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კირქვის შრობის პროცესში წარმოქმნილი წყლის ორთქლი და მცირე რაოდენობით მტვერი, გაივლის საწარმოში არსებულ გამწმენდ სისტემას, რომელიც გამოიყენება ცემენტის დაფქვის პროცესში. სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის (კირქვის საშრობი დოლის არსებულ ჰაერის გამწმენდ სისტემასთან კავშირის) სქემატური გამოსახულება;

- დოკუმენტში არ არის იდენტიფიცირებული მავნე ნივთიერების გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვა) შესრულების თაობაზე;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 420 მეტრი მანძილით, ამასთან, მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს სიახლოვეს მდებარეობს რამდენიმე შენობა-ნაგებობა (ს/კ: 01.19.21.002.046; 01.19.21.002.423), დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია აღნიშნული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულების შესახებ;
- წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია საკომპრესორო შენობა, დაზუსტებას საჭიროებს კომპრესორის ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, კირქვა შემოიტანება კახეთის რეგიონში არსებული კარიერიდან, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სატრანსპორტო მარშრუტისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო